ინფორმაცია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2016 წელს ერთწლიანი კულტურების ხვნა-თესვის

მიმდინარეობის შესახებ

მუნიციპალიტეტში ერთლიანი კულტურების სახნავ-სათესი ფართობი მოიცავს 2853 ჰა-ს, აქედან 0,25 ჰა-ზე მეტი ფართობი, რომელზეც გაიცემა სახნავი ვაუჩერი, საერთო ჯამში არის 2400 ჰა. ხვნა-თესვის პირველ ეტაპზე უკან დაბრუნდა 927 ჰა-ს დახვნის ვაუჩერი, ვაუჩერების დაბრუნება კვლავ მოსალოდნელია. 2016 წლის 25 აპრილი მდგომარეობის დახნულია 529.8 ჰა მიწის ფართობის რაც 2015 წლის 30 აპრილი მონეცემებს 183,3 ჰა-ით აღემატება. გარდა ამისა მოსახლეობის მიერ საკუთარი სახსრებით დახნულია 106 ჰა. სულ 25 აპრილის მდგომარეობით დახნულია 635,8 ჰა. სულ 2016 წელს მუნიციპალიტეტში მოსალოდნელია რომ დაიხვნება 1100 ჰა-ზე მეტი.

2016 წელს 2015 წელთან შედარებით ხვნა-თესვის პროგრამის მიმდინარეობის ტემპი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აღნიშნული მდგომაარეობა, გარდა ხელშემწყობი კლიმატური პირობების გამო, გამოწვეული ქვეკონტრაქტორების რაოდენობის გაზრდითაც, თუ 2015 წელს ქვეკონტრაქტორი 2 სოფელში (ზოტი, ქვენობანი) ახორციელებდა სამუშაოებს, 2016 წელს 4 სოფელში მონაწილეობს. (ამაღლება, ხიდისთავი, ზოტი, საჭამიასერი). ქვეკონტრაქტორების რაოდენობის გაზრდა სასიკეთოდ აისახა არა მარტო შესრულებული სამუშაოს მოცულობის ზრდაზე, არამედ დასაქმდა ადგილობრივი მუშახელი და ტექნიკა.

ცხრილი 1. სოფლების მიხედვით დახნული მიწის ფართობები.

სოფლები	2016 წელი 25.04 მდგომარეობით	2015 წელი30.04 მდგომარეობით
ამაღლება	***99.0***	89
ბუკისციხე	12.0	9
გოგოლესუბანი	9.0	
გორაბერჟოული		
გუთური	3.9	13
დაბა ჩოხატაური	0.8	20
დაბლაციხე		29
ერკეთი	12.2	14.5

ვან-ზომლეთი	104.0	59
ზემოხეთი		
კოხნარი		
ფარცხმა		
შუაამაღლება	44.8	
ხიდისთავი	***41.2***	
ჯვარცხმა		
ზოტი	***39.6***	***48***
ქვენობანი	111.3	**65**
საჭამიასერი	***52.0***	
სულ ჯამი	**529.8**	**346.5**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით შეინიშნება ერთწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობწების შემცირება, მრავალწლიანი კულტურების უმეტესად თხილის გაშენების ხარჯზე. აღნიშნული ტენდენციაც მისასალმებელია და დადებითად აისახება მუნიციპალიტეტში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობაზე.